

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებები

საოპერაციო შესაძლებლობების განვითარება

2019-2020 წლებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აღიჭურვა უახლესი სპეცტექნიკით:

- 37 ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტომობილით (მათ შორის, უახლესი სახანძრო-სამაშველო ტექნოლოგიებით აღჭურვილი 30 ერთეული Magirus-ის ბრენდის ავტომობილით, ამავე ბრენდის 64 მ. სიგრძის სახანძრო კიბე, 1 ერთეული სამმაგი ქრობის ტექნოლოგიით აღჭურვილი Mercedes-ის ბრენდის სახანძრო ავტომობილი და 5 ერთეული სხვადასხვა ტიპის სახანძრო-სამაშველო ავტომობილი);
- 45 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი;
- 10 ერთეული მსუბუქი ავტომობილი;
- 10 ერთეული მცურავი საშუალება (მათ შორის სწრაფმავალი კატარღის 2 ერთეული ძრავი);

კრიზისულ ვითარებაში სიტუაციის დროული გაანალიზების, ოპერაციების ეფექტიანი დაგეგმვისა და რესურსის სწორად გადანაწილების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სახანძრო-სამაშველო ოპერაციების წარმოებისას აქტიურად იყენებს უპილოტო საფრენ აპარატებს. 2019 წელს სამსახურმა შეიძინა 12 ერთეული უპილოტო საფრენი აპარატი (დრონი). ამჟამად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის აღჭურვილობაშია 17 ერთეული დრონი, რომლებიც გადაცემულია ტერიტორიული დანაყოფებისთვის. დრონების მოხმარების საკითხებზე ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის საქართველოს მასშტაბით ორგანიზებულ იქნა ტრენინგები.

წყალზე სამაშველო ოპერაციების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა წყლის სატრანსპორტო საშუალებების, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის, უნიფორმისა და სპეციალიზებული ფეხსაცმლის შესყიდვა. მოწესრიგდა საზღვაო-სამაშველო ინფრასტრუქტურა და დაემატა ახალი საზღვაო-სამაშველო კომპლექსები.

თანამედროვე სტანდარტების სახანძრო-სამაშველო განყოფილება გაიხსნა ზუგდიდში, ბორჯომში, სიღნაღში, ანაკლიასა და ჩხოროწყეში. მიმდინარეობს მშენებლობა და უახლოეს მომავალში ახალი სახანძრო-სამაშველო ობიექტები შევა ექსპლუატაციაში მარტვილში, წალენჯიხაში, ჩოხატაურში და აბასთუმანში.

2020 წელს დაიწყო 24 სთ-იან რეჟიმში მომუშავე მეხანძრე-მაშველთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. ასევე, მეხანძრე-მაშველებისათვის შესყიდულ იქნა ყოველდღიური და სპეციალური ფორმის ტანსაცმელი.

2019 წლიდან მეხანძრე-მაშველები სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გადიან საბაზისო სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ტარდება 90-საათიანი სასწავლო კურსი. პროგრამა ითვალისწინებს ძირითად საბაზისო მოთხოვნებს მეხანძრე-მაშველებისათვის, ტარდება 3 გამოცდა, რომლის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი.

სამსახურში განხორციელებული საკადრო პოლიტიკის რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვნად ძლიერდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, შესაბამისი განათლების ხარისხის მქონე მეხანძრე-მაშველებს მიენიჭათ ოფიცრის წოდება, რაც დამატებით მოტივაციას უჩენს მოქმედ თანამშრომლებს და ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოზიდვას უწყობს ხელს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში, განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარ სამმართველოში შეიქმნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განყოფილებები. მასში გაერთიანდნენ მყვინთავი მაშველები. დეცენტრალიზაცია ხელს შეუწყობს რეაგირების ეფექტურობის გაზრდას. ასევე, მყვინთავ მაშველებს ხელფასი გაეზარდათ 100 პროცენტით.

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სისტემის განვითარება

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის რეორგანიზაცია და რებრენდინგი, განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის, გაიზარდა დეპარტამენტის სამტატო რიცხოვნობა, რაც დღეის მდგომარეობით 90 ერთეულს შეადგენს. ამასთან, შეიქმნა რეგიონული ჯგუფები, რომელთა მართვა ხორციელდება ცენტრალიზებულად და სამსახურებრივ სამოქმედო ტერიტორიად განსაზღვრული აქვთ შესაბამისი რეგიონი.

განახლდა დეპარტამენტის ავტოპარკი, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საოფისე ინფრასტრუქტურა, დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა კი აღიჭურვა სპეციალური ტექნიკური საშუალებებით.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის განხორციელების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ეტაპობრივად მიმდინარეობს მოსამსახურეთა

უნიფორმების, სპეციალური აღჭურვილობის, სამხრე ვიდეო რეგისტრატორებისა და პლანშეტური კომპიუტერების შესყიდვის პროცედურები.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების მაქსიმალური მოქნილობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა სახანძრო ზედამხედველობის საქმიანობის ამსახველი სპეციალური ელექტრონული პროგრამა eFss, რომელიც იძლევა პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე შეიქმნა „სამოქალაქო უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“, ცენტრის მიზანია:

- ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარება;
- ზედამხედველობის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწა/განახლება/შექნა;
- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე პასუხისმგებელი პირების მომზადება/გადამზადება.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემის განვითარება

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემის განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტირების მიზნით, NATO-ს სამეკავშირო ოფისის ხელშეწყობით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმდინარეობს მატერიალური რეზერვების სისტემის მოდერნიზება. აგრეთვე, მომზადებულია სახელმწიფო რეზერვების ორგანიზების შესახებ ცვლილებების პაკეტი.

სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის განვითარება

ევროკავშირის ერთიანი სამოქალაქო დაცვის მექანიზმის (EUCPM) სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მომზადება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შემდეგი კურსები: მოდულების საბაზისო კურსი (MBC), ოპერაციული მართვის კურსი (OPM), საშტატო მართვის კურსი (SMC), შემფასებელი მისიის კურსი (AMC), უსაფრთხოების კურსი (SEC) და მოლაპარაკებათა და გადაწყვეტილების მიღების კურსი (CND).

სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მთავარი სამმართველოს უფროსები და მათი მოადგილეები, სამმართველოს უფროსი და მათი მოადგილეები) დანიშნული მოსამსახურეების მზადყოფნის ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, განხორციელდა მართვის ტაქტიკური და ოპერაციული დონის სამეთაურო კურსების ჩატარება. აღნიშნული კურსები წარმატებით გაიარა ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნულმა 60-ზე მეტმა პირმა.

განხორციელდა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილი პირების ცნობიერებისა და მზადყოფნის დონის ამაღლება და აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მიერ უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმების მომზადების ორგანიზება.

სამოქალაქო სექტორთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით დაწყებულია და ამჟამადაც ხორციელდება მუნიციპალიტეტებისთვის საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებისა და საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების ხელშეწყობა.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა და გრძელდება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური მუშაობა, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ მრავალმხრივ საფრთხეებთან და მათგან მომდინარე საგანგებო სიტუაციებთან მიმართებაში ცნობიერებისა და მზადყოფნის დონის ამაღლების მიზნით. საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაეწიათ დახმარება საგანგებო მართვის გეგმების შემუშავებაში.

აშშ-ს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის, აშშ-ს არმიის ინჟინერთა კორპუსისა და ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის ხელშეწყობით დაწყებულია და მიმდინარე წელს დასრულდება სამოქალაქო-სამხედრო საგანგებო მზადყოფნის პროგრამისა (CMEP) და ეროვნული სასწავლო გეგმის (NEP) შემუშავება. ამავე ფორმატში განხორციელდა სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილი პირების სამოქალაქო უსაფრთხოების კუთხით მომზადება და ცნობიერების ამაღლება.

სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განახლება. გეგმის პროექტი მზადაა და საბოლოო შენიშვნებისა და კომენტარებისთვის ეგზავნებათ შესაბამის უწყებებს.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებთან, პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო-დონორ ორგანიზაციებთან წარმატებული

თანამშრომლობის შედეგად მნიშვნელოვნად განახლდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ:

- აშშ-ს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისმა (US ODC) საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში სამსახურს გადასცა 6 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება და ერთი ერთეული ტყის სახანძრო მანქანა;
- აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ (DTRA) სამსახურს გადასცა სხვადასხვა სახის ქბრბ აღჭურვილობა, სამი ერთეული ფორდის მარკის მაღალი გამავლობის ავტომანქანა და სამი ერთეული ქბრბ მისაბმელი;
- საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოსგან (IAEA) სამსახურმა გრანტის სახით მიიღო პერსონალური რადიაციული დეტექტორები, რადიოაქტიური წყაროების შენახვის კონტეინერი და ქბრბ დამცავი სამოსი;
- პოლონელმა პარტნიორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადმოსცეს სასწავლო სახანძრო კონტეინერები და შესაბამისი სპეციალური აღჭურვილობა;
- იაპონიის საელჩოსთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 2 მეორადი ტყის ხანძრებისათვის განკუთვნილი სახანძრო მანქანა. აგრეთვე 2021 წლისთვის დაგეგმილია ქ. ბათუმისათვის სახანძრო ავტო-კიბის შესყიდვა და ლაგოდეხისთვის მეორადი სახანძრო მანქანის შესყიდვა.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2020 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოსთვის ENPARD პროგრამის ფარგლებში პროექტ „PROCEED“-ის მიერ გამოცხადებულ მეოთხე საგრანტო კონკურსში. პროექტი წარმატებით დასრულდა, რის შედეგად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებისთვის შეძენილ იქნება ერთი ერთეული მაღალი გამავლობის სამაშველო ავტოსატრანსპორტო საშუალება.
- დამტკიცდა ახალი პროექტი ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბორჯომის განვითარების ჯგუფთან თანამშრომლობის ფარგლებში. აღნიშნული პროექტით ბორჯომის ტყის ხანძრების პრევენციისთვის და რეაგირებისთვის შესყიდული იქნება სხვადასხვა სახის აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალება.

საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართული სასწავლო კურსების მეშვეობით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 127 თანამშრომელი გადამზადდა.

აღსანიშნავია სამხრეთ აფრიკის შახტებში, სამაშველო ოპერაციების ტრენინგ ცენტრში ორგანიზებული სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 8 მეხანძრე-მამშველი და აგრეთვე უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის სასწავლო ცენტრში შახტებში სამაშველო ოპერაციების თემატიკაზე განხორციელებული კურსი, სადაც წვრთნები გაიარა 10-მა მეხანძრე-მამშველმა.

გაეროს საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (International Search and Rescue Advisory Group) INSARAG-ის ფარგლებში არსებული სტანდარტების დანერგვისა და შესაბამისი კლასიფიკაციის მიღების მიზნით სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს.

ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO PDP) მიერ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების მიზნით ხორციელდება შეფასების სისტემის განვითარების პროექტი.

ახალ კორონა ვირუსთან დაკავშირებული პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. წარმატებული თანამშრომლობის შედეგად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ინვენტარი და სადღეინფექციო საშუალებები.

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, 2019-2020 წლებში მიღებულ იქნა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 აგვისტოს №501 დადგენილება;
- „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის №48 დადგენილება;
- „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის №590 დადგენილება.

მიღებულ იქნა უშუალოდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ნორმატიული ბაზის დახვეწა/განახლებისა და ოპტიმიზაციის, მნიშვნელოვანი საკითხების რეგულირების უზრუნველსაყოფად, რიგ ნორმატიულ აქტებში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

2019 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაინერგა ციფრული რადიოკავშირის სისტემა. კომპანია Motorola-სთან თანამშრომლობით განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ციფრული რადიოკავშირით სრულად აღჭურვის პროექტი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინტეგრაცია ერთიან ციფრულ რადიოკავშირის სისტემაში უზრუნველყოფს კრიზისულ სიტუაციებში მომიჯნავე უწყებებთან უწყვეტ კავშირს.

შემუშავდა სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემა (eFris). სისტემის მეშვეობით შესაძლებელია ინციდენტების ელექტრონული დისტრიბუცია, სახანძრო/სამაშველო ოპერაციების ონლაინ მართვა/მონიტორინგი, რესურსების ეფექტური განაწილება/დაგეგმვა და ზუსტი სტატისტიკური მონაცემების წარმოების ავტომატიზაცია.

შეიქმნა ინტერაქტიული რუკა და გრძელდება რუკის სრულყოფა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია:

- სახანძრო/სამაშველო ჯგუფების გადაადგილების ონლაინ ხედვა და მათი სტატუსების მონიტორინგი;
- ინციდენტამდე მისასვლელი ოპტიმალური გზებისა და გზის დატვირთულობის განსაზღვრა;
- ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა ტიპის ობიექტების შესახებ (მაგ: ობიექტები, სადაც ინახება ფეთქებადსაშიში მასალა, ჰიდრანტები, სკოლები, ზედამხედველობას დაქვემდებარებული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები და ა.შ.);
- რადიო და ფიჭური კავშირის დაფარვის ზონისა და კავშირის ხარისხის გაუმჯობესება;
- სხვადასხვა სახის ბუნებრივი საფრთხეების შესახებ პროგრამული შრეების დამუშავება.

აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის მოდულზე, რომელიც უზრუნველყოფს საკადრო საქმიანობის შესრულებაზე დახარჯული დროისა და რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ HR მოდულის მნიშვნელოვანი კომპონენტია მეხანძრე-მაშველთა უნიფორმების შესახებ ინფორმაციის ავტომატიზებული წარმოების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციონალი იძლევა საშუალებას გავამარტივოთ მეხანძრე-მაშველთა უნიფორმების შესყიდვის პროცესები და მინიმუმამდე შევამციროთ ხელით შრომით გამოწვეულ შეცდომები და მონაცემებს შორის შეუსაბამობა.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ახორციელებს პროექტს „მოხალისე“, რომელიც გულისხმობს მოხალისეების მოზიდვასა და ჩართვას, როგორც საგანგებო სიტუაციების რეაგირების სამუშაოებში, ასევე მზადყოფნის, პრევენციისა და აღდგენის დონეზე განხორციელებულ საქმიანობაში. პროექტის საპილოტე ფაზისათვის შერჩეულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც დიდი მანძილით არის დაშორებული სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან (რეაგირების დრო შეადგენს არანაკლებ 40 წუთს და მეტს). პროექტის ფარგლებში, სოფელ მოხეში გადამზადდნენ მოხალისეები და ხანძრებზე დროული რეაგირებისათვის გადაეცათ 1 ერთეული სახანძრო ავტომანქანა. ამ დროისათვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მობილიზებულია 235-მდე მოხალისე, რომელთა გადამზადება უახლოეს მომავალში იგეგმება.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობითი საქმიანობის განვითარება/განხორციელების მიზნით ასევე მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები მოხალისეთა კანდიდატების შერჩევის მიზნით აჭარასა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

ქალი მაშველები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რიგებში

2019 წლის საზღვაო სეზონზე პირველად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რიგებში ქალი მაშველები გამოჩნდნენ. მათი მოვალეობა პლაჟზე პატრულირება, საჭიროების შემთხვევაში დახმარების გამოძახება, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში უშუალოდ სამაშველო პროცესში ჩართვაა. მაშველთა უმეტესი ნაწილი ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტები არიან და მათ ფიზიკური მომზადების ნორმატივი უკვე ჩაბარებული აქვთ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანი, რომლებმაც განსაკუთრებული წარმატებით გაართვეს თავი სამსახურებრივ მოვალეობას, დასაქმდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.